

## რედაქტორებისგან

როდესაც მაღამ დე სტალი ნაშრომში „გერმანიის შესახებ“ გერმანელების კულტურას და ლიტერატურას შეეხო, ნაპოლეონის ბრძანებით პოლიციამ წიგნის განადგურება მოითხოვა. 1810 წლის 5 ოქტომბერს ჰერცოგი როვიგო, პოლიციის მინისტრი, მაღამ დე სტალს სწერდა: „თქვენი ბოლო ნაშრომი არ არის ჭეშმარიტად ფრანგული. [...] ჩვენ ჯერ ისე არ დაცემულვართ, რომ სასურველი მაგალითი იმ ხალხებთან ვეძიოთ, რომლებსაც თქვენ ეთაყვანებით“<sup>1</sup>. საინტერესოა, რომ ბრალდება პოლიტიკურ ხასიათს არ ატარებდა, წიგნს ბრალი ედებოდა არაეროვნულობაში იმის გამო, რომ სხვა ერის კულტურას ეხებოდა. შედარებითი ლიტერატურა სწორედ ამ კარჩაკეტილი ხედვის გარღვევის მცდელობაა. კლოდედმონდ მანი<sup>2</sup> წერდა, რომ ლიტერატურული სამყაროები დარაზულია, ისინი „ქვის კედლებითაა გარშემორტყმული“ ლიტერატურული კრიტიკა ამ კედლებს არღვევს, ხოლო შედარებითი ლიტერატურა მოიცავს კარჩაკეტილობის გარღვევის პრეცედენტებს.

უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ რაც შედარებითი ლიტერატურა არსებობს – ჯერ როგორც ცნება და შემდეგ როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა – არ ცხრება დაგა მისი სახელწოდების, არსის, რაობის და კვლევის არეალის თაობაზე. უაკდერიდა ლექციების ციკლში „შედარებითი ლიტერატურის კონცეპტის შესახებ“ საუბრობს სწორედ იმ ამბივალენტობის შესახებ, რომელიც ახასიათებს დისციპლინას და რაც პირველ რიგში გამოიხატება მისი სახელწოდების კონცეპტუალიზაციაში, რომელიც სხვადასხვა ენაზე სრულიად განსხვავებულ-

1 იხ. Florence Lotterie, *Parution de Del'Allemagne de Mme de Staël*, Archives de France, <http://www.archivesdefrance.culture.gouv.fr/action-culturelle/celebrations-nationales/recueil-2013/litterature-et-sciences-humaines/parution-de-de-l-allemande-mme-de-stael/>

2 მისი ნამდვილი სახელი და გვარია ედმონდ ვინელი.

ლი მნიშვნელობის მატარებელია.<sup>3</sup> სიუზან ბასნეტი თვლის, რომ შედარებითი ლიტერატურა „გარკვეული აზრით მკვდარია“ და ის არსებობას განაგრძობს სხვა ფორმით, როგორც არის გენდერული კვლევები, პოსტკოლონიური კვლევები და კულტურის კვლევები.<sup>4</sup> ჯონათან ქალერისთვის კი, პირიქით, „შედარებითი ლიტერატურის წარმატებას მოაქვს მისი იდენტობის დაკარგვა“<sup>5</sup> – ამაში ის გულისხმობს იმ საფრთხეს, რომელსაც დისციპლინას უქმნის ზოგიერთი თეორიტიკოსის მხიდან მისი მოაზრება კულტურის კვლევებად, მაშინ როდესაც შედარებითი ლიტერატურა „ავანგარდულ“ დისციპლინად ითვლებოდა, ვინაიდან ითვალისწინებდა სხვადასხვა ნაციონალურ გამოცდილებას, თეორიული ტექსტებისადმი იჩინდა ინტერესს და ამავე დროს ინტერდისციპლინარულ მიდგომას ავითარებდა. ქალერის აზრით, სწორედ ამ ფართო ხედვამ განაპირობა სიტყვა „ლიტერატურის“ ჩანაცვლება „კულტურით“. ჯონათან ქალერი, მიშელ რიფატერი, დოუვე ფოკემა, პიტერ ბრუქსი ფიქრობენ, რომ შედარებითი ლიტერატურის დისციპლინის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, თუ ლიტერატურა მისი შესწავლის ძირითადი საგანი აღარ იქნება.

დღესდღეობით პარადოქსულია, ასევე, შედარებითი ლიტერატურის არათანაბარი გეოგრაფიული განვითარება: მაშინ როცა ამერიკაში, კანადაში, ინგლისში ამ დისციპლინის პიკი ბოლო ათწლეულებზე არ მოდის, ევროპაში ეს ნაკლებად იგრძნობა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი პირიქით – შედარებითი ლიტერატურის უფრო ხანმოკლე ისტორიის ანაზღაურება და ამ დისციპლინის ექსპანსია მიმდინარეობს.<sup>6</sup>

3 იხ. Jacques Derrida, *Who or What Is Compared? The Concept of Comparative Literature and the Theoretical Problems of Translation*, Discourse, Volume 30, Numbers 1 & 2, Winter & Spring 2008: 25.

4 იხ. Susan Bassnett, *Comparative Literature: A Critical Introduction*, Oxford: Blackwell, 1993.

5 Jonathan Culler, *Whither Comparative Literature? Comparative Critical Studies* 3, 1-2, 2006: 88.

6 იხ. Tomo Virk, *Comparative Literature versus Comparative Cultural Studies*, CLCWeb: Comparative Literature and Culture 5.4 (2003): <http://

ბუნებრივია, რომ საქართველოში ბოლო ათი წლის მანძილზე „გახსნილობის“ და ტრანსნაციონალური იდეის მატარებელი დისციპლინა, ერთი მხრივ, საკუთარი თავის ძიებაშია და, მეორე მხრივ, ჯერ კიდევ თავს აცნობს საზოგადოებას. ყოველივე უცხოსადმი ჩაკეტილ საბჭოთა სისტემაში შეუძლებელი იყო შედარებითი ლიტერატურის „დაშვება“. შესაბამისად, ეს მუდმივად ტრანსფორმირებადი დარგი საქართველოში თავს იმკვიდრებს არა როგორც კრიზისის ფაზაში მყოფი ლიტერატურის კონცეფცია, არამედ როგორც გახსნილობის, ან კიდევ რენე ეტიამბლს რომ დავესესხოთ, „ჰუმანიზმის“<sup>7</sup> დისციპლინა.<sup>8</sup>

შედარებითი ლიტერატურისადმი ინტერესი ქართულ სამეცნიერო სივრცეში საშუალებას იძლევა: უფრო ინტენსიური გახდეს ლიტერატურის ინტერკულტურული კვლევები და ამ გზით დაიძლიოს კულტურული დახშულობა; ინტერდისციპლინარული, სხვადასხვა დისციპლინების ფარგლებში დამუშავებული მეთოდების მეშვეობით უფრო მრავალფეროვანი და მრავალწახანაგიანი გახდეს კვლევები; უფრო ფართო, განმაზოგადებელი პოზიციიდან იქნას დანახული როგორც მსოფლიო, ისე ქართული ლიტერატურულ-კულტურული

dx.doi.org/10.7771/1481-4374.1202>

7 როდესაც სარტრი აღნიშნავს ლიტერატურის შესახებ, რომ ის „ახალი ჰუმანიზმია“, საფრანგეთში კომპარატივისტიკის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი რენე ეტიამბლი ანალოგიურ ფორმულირებას აძლევს ამ დისციპლინას: „შედარებითი ლიტერატურა ჰუმანიზმია“. René Etiemble, *Comparaison n'est pas raison*, Paris, Gallimard, 1963, coll. „Les Essais“: 20.

8 ალბათ ამ ჰუმანიზმს გულისხმობდა დიპლომატი პოეტი პოლ კლოდელი, როდესაც ფიქრობდა, რომ „ერთი ნაციის გულიდან მეორის გულამდე, მიუხედავად ტრადიციების და ენობრივი განსხვავებებისა, შესაძლოა გაიდოს გზა, რომელსაც ვერ გადათელავენ ვერც ქვემეხები და ვერც ვერც მოიერიშე სამხედრო ასეულები“. იხ. Paul Claudel, cité dans Pierre Brunel, Claude Pichois, André-Michel Rousseau, *Qu'est-ce que la littérature comparée?* Paris, Armand Colin, 1983: 12.

სინამდვილე; ქართული ლიტერატურის კვლევა მოხდეს იმ თეორიული მიდომებით, რომლითაც დღეს მსოფლიო ლიტერატურის არეალში ხდება ლიტერატურულ-კულტურული, საზოგადოებრივი, პოლიტიკური პროცესების აღქმა, გადააზრება, ურთიერთდაკავშირება; გაზიარებული იქნას ის სააზროვნო და კულტურული გამოცდილება, რომლითაც სხვა ქვეყნები უმკლავდებიან ტრავმატულ წარსულს ან სადღეისო გამოწვევებს კულტურულ და სოციალურ სინამდვილეში; ამ გზით მოიძებნოს თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს და ქართული კულტურის რეინტეგრაციის გზები. ამ თვალსაზრისით, შედარებით ლიტერატურას როგორც დისციპლინას ქართულ სამეცნიერო, კულტურულ, საზოგადოებრივ სივრცეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.

„შედარებითი ლიტერატურის კრებული“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შედარებითი ლიტერატურის ყოველწლიური გამოცემა ხდება. პირველ კრებულში შედის ქართველი და უცხოელი მკვლევარების მიერ გასული რემდენიმე წლის განმავლობაში ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებზე წარმოდგენილი ნაშრომები.

*ათინათ მამაცაშვილი-კობახიძე  
ბელა წიფურია*

## შედარებითი ლიტერატურა და თანამედროვეობა

მანფრედ შმელინგი

ზაარლანდის უნივერსიტეტი, გერმანია

**კულტურის შუამავალთა ენა. ტრანსკულტურული  
დიალოგის მეტაფორული მნიშვნელობა  
თეორიასა და პრაქტიკაში**

*გერმანულიდან თარგმნა მარია ნაცვლიშვილი*

ინტერკულტურული დიალოგი და თეორია დღესდღეობით ყველა ჰუმანიტარულ დარგში აკადემიური სწავლებისა და მეცნიერული კვლევის მყარი შემადგენელი ნაწილია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ენობრივი და ლიტერატურული შუამავლობის პროცესები საკმარისად გამოკვლეული არ არის. ინტერკულტურული კონტაქტები ძირითადად ენის სფეროში ხორციელდება, კეძოდ მეტაფორულ სტრუქტურებში. მეტაფორული სტრუქტურა აღემატება ენაში არსებული სიტყვების ან გამონათქვამების პირდაპირ მნიშვნელობას. ინტერკულტურული და ტრანსკულტურული დიალოგის მეტაფორულ პრინციპებზეა აგებული არა მხოლოდ ცალკეული ცნებები, არამედ მთლიანი მხატვრული ნაწარმოებები. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ენობრივი კონსტრუქცია, რომელიც ბილატერალურ კონტაქტს გამოხატავს: გერმანულ-ფრანგული „ტანდემი“ უფრო კომპლექსური მაგალითია თომას მანის „ჯადოსნურ მთაში“ აღწერილი ფილტვების სამ-